საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030181515038617

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/59700 **22 /** სექტემბერი **/ 2017 წ.**

„Fact Check"

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

მიმდინარე წლის 14 სექტემბრის თქვენი N92312 განცხადების პასუხად, დანართის სახით, წარმოგიდგენთ სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ერთეულში-შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში 2015-2017 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობის, შრომის ანაზღაურებისა (თანამდებობრივი სარგო, დანამატი, პრემია) და მივლინების ხარჯების შესახებ ინფორმაციას დანართის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 (№38 05.02.2015), 2016 (№ 19 18.01.2016) და 2017 (№ 627 29.12.2016) წლების შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამების შესაბამისად, ინსპექტირება სამუშაო ადგილზე დამოკიდებულია დამსაქმებლის ჩართულობასა და მომართვიანობაზე. კომპანიების დაახლოებით 30% ინსპექტირება განხორციელდა დამსაქმებლთა და დასაქმებულთა მომართვის საფუძველზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2015-2017 წლებში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ინსპექტირება განხორციელდა 313 კომპანიის 551 ობიექტზე, რომლებშიც გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები.

შრომის პირობების ისნპექტირების დეპარტამენტი ამზადებს არასაჯარო დასკვნებს/ანგარიშებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მოკლებული ვართ შესაძლებლობას გადმოგცეთ ანგარიშები/დასკვნები, რომლებიც შეიცავენ შემოწმებულ კომპანიებში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას.

დეპარტამენტი ორგანიზაციებში/დაწესებულებებში შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს.

2015-2017 წლებში სამუშაო ადგილზე შრომის პირობების ინსპექტირებისას გამოვლინდა შემდეგი სახის ძირითადი დარღვევები:

- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის არარსებობა
- ელექტროუსაფრთხოების გაუმართაობა
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არარსებობა
- კოლექტიური დაცვის სისტემის გაუმართაობა

- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის არარსებობა
- მიკროკლიმატის დაუცველობა
- მომეტებული საწარმოო ხმაური
- მომეტებული მტვრიანობა
- ერგონომიკული პრობლემები და სხვა.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით გონივრული ვადის გასვლის შემდეგ ხორციელდება რემონიტორინგი, რომელთან დაკავშირებითაც დეპარტამენტი პერიოდულად ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს.

100-მდე ობიექტზე რემონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა დარღვევათა გამოსწორების შემდეგი მაჩვენებლები:

- რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა 14%-მა;
- ნაწილობრივი რეაგირება მოახდინა 67%-მა;
- რეკომენდაციებზე რეაგირება არ მოახდინა 19%-მა.

მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებს ორგანიზაცია/დაწესებულებას შეატყობინოს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევ(ებ)ის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე დეპარტამენტს არ აქვს შესაძლებლობა მომხდარ ფაქტ(ებ)ზე განახორციელოს მყისიერი რეაგირება. დეპარტამენტი სხვადასხვა წყაროდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე აწარმოებს უბედურ შემთხვევის მოკვლევას. 2016-2017 წლებში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა მოიკვლია 20 (ოცი) უბედური შემთხვევა. წლებისა და რეგიონების მიხედვით სამუშაო ადგილზე დაშავებულთა და დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართის სახით (დანართი 1).

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' კანონპროექტის მიხედვით, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში, დამსაქმებელი ვალდებულია ზედამხედველ ორგანოს აცნობოს მძიმე, ფატალური და მასიური უბედური შემთხვევის შესახებ. კანონის ეს მოთხოვნა ხელს შეუწყობს დეპარტამენტს სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედურ შემთხვევებზე მოახდინოს მყისირი რეაგირება და აწარმოოს მისი აღრიცხვა.

დეპარატამენტში მომართვის საფუძველზე დაახლოებით 100-მდე დაინტერესებულ პირს, დასაქმებულსა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაეწიათ კონსულტაცია რაც მოიცავს ინფორმაციას შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების შესახებ. დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით 2016 (№ 19 18.01.2016) და 2017 (№ 627 29.12.2016) წლის შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამების შესაბამისად, დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე დეპარტამენტის წარმომადგენლთა მიერ 6-ჯერ ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 20-მდე კომპანიის 150-მდე თანამშრომელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — სოფიო უმიკაშვილი